



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
11 აპრილი, 2017
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი
ტელეფონი: 032 222 7495
ელ-ფოსტა: krehviashvili@zrda.ge

USAID-ის პროექტი Zrda და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მასპინძლობს სამცხე-ჯავახეთის ტურიზმის განვითარების I რეგიონულ სიმპოზიუმს

ბორჯომი, სასტუმრო ქრაუნ პლაზა - 2017 წლის 11 აპრილს, USAID-ის მისიის დირექტორმა, დაგლას ბოლმა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, რადუ-ლივიუ ჰორუმბასთან და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ, აკაკი მაჩუტაძესთან ერთად გახსნეს სამცხე-ჯავახეთის ტურიზმის განვითარების I რეგიონული სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის მიზანია განსაზღვროს რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები და დაადგინოს პრიორიტეტები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას, როგორც საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ რეგიონს.

USAID-ის Zrda პროექტმა, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებთან ერთად დააარსა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც არის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია. მოდელი ყურადღებას ამახვილებს აგრო, ეკო, სათავგადასავლო და კუტურულ ტურიზმზე და პროცესში მონაწილე მხარეებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის განვითარებაზე. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გადმოტანა-დანერგვის მიზნით, პროექტმა იმუშავა რუმინეთის არაკომერციულ ორგანიზაციასთან - სიბიუს ოლქის ტურიზმის ასოციაცია (SCTA), რათა გამოიყენოს რუმინეთის ის გამოცდილება, რომელიც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ ქვეყანამ მიიღო ტურიზმის განვითარების სფეროში.



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Zrda-მ უკვე დაიწყო საოჯახო სასტუმროების პოტენციალისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე ზრუნვა და დახმარება გაუწია სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და პანკისის 233 მცირე და საშუალო ზომის საოჯახო სასტუმროს მეპატრონეებს გაეცლოთ AHLEI-ს (ამერიკის სასტუმროებისა და განთავსების საგანმანათლებლო ინსტიტუტი) სასერტიფიკატო ტრენინგები სასტუმროს მართვის საკითხებში. აღსანიშნავია პროექტის მიერ ჩატარებული ტრენინგები ციფრული მარკეტინგის საკითხებში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საოჯახო სასტუმროებს გახდნენ საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო ელექტრონული დაჯავშნის პორტალების წევრები. აღჭურვილები ცოდნითა და უნარ-ჩვევებით და ახლა უკვე დარეგისტრირებულნი დაჯავშნის საერთაშორისო სამოგზაური საიტებზე, სამცხე-ჯავახეთის მცირე სასტუმროების მეპატრონეები ახალი შესაძლებლობების მოლოდინში არიან.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>